სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/14

ქ. თბილისი

10 მარტი 2022 წ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „საგზაო ინფრასტრუქტურისა და მიწისქვეშა ხელოვნური ნაგებობების“ და „ტრანსპორტისა და მრეწველობის მენეჯმენტის“ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების სტატუსშეჩერებული სტუდენტებისათვის უნივერსიტეტის ფარგლებში პროგრამის შეცვლის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის, სამშენებლო ფაკულტეტის დეკანის ზურაბ გვიშიანის, სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტის დეკანის ოთარ გელაშვილის, სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტის უფროსის თამარ წერეთლის სამსახურებრივი ბარათებისა და აკადემიური საბჭოს 2022 წლის 10 მარტის №01-05-02/06 ოქმის საფუძველზე, **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის „საგზაო ინფრასტრუქტურისა და მიწისქვეშა ხელოვნური ნაგებობების“ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსშეჩერებულ სტუდენტებს, აღნიშნული პროგრამის აკრედიტაციის ვადის ამოწურვის გამო, უნივერსიტეტის ფარგლებში შეეცვალოთ პროგრამა და გადაყვანილ იქნენ სამშენებლო ფაკულტეტის „მშენებლობის“ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე შეჩერებული სტატუსის შენარჩუნებით.

2. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტის „ტრანსპორტისა და მრეწველობის მენეჯმენტის“ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსშეჩერებულ სტუდენტებს, აღნიშნული პროგრამის აკრედიტაციის ვადის ამოწურვის გამო, უნივერსიტეტის ფარგლებში შეეცვალოთ პროგრამა და გადაყვანილ იქნენ ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე შეჩერებული სტატუსის შენარჩუნებით.
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე — დავით გურგენიძე

აკადემიური საბჭოს მდივანი — იაშა კუტუბიძე